832
1989

ეროვნული ბიბლიოთეკა




დიდება თავისუფლებას!

# ჩვენი დროშა

დამაარსებელი : ნოე ჟორდანია. NOTRE DRAPEAU FONDATEUR : NOE JORDANIA.

ორგანო საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროსი.

**Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-democrate de Géorgie.**



## მაისი

1989 წელი

# ქ რ ი ს ტ ე   ა ღ ს დ გ ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამშობლო ჩვენო! დრო მოდის გამარჯვებისა, შენ კვლავ მოიპოვებ თავისუფლებას.



ძვირფასო თანამემამულენო!

შორეთიდან

გილოცავთ თქვენ, და აგრეთვე სამშობლოს გამოღმა ობლად დარჩენილ ქართველობას ამ დიად დღეს.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, მუდმივ ბედნიერებას, ა ზ რ ს-ჭ ე შ მ ა რ ი ტ ს, დ ა ი მ ე დ ს  შ ე უ რ ყ ე ვ ე ლ ს.

საქ. სოც. დემ. პარტიის საზღვარ-გარეთული ბიურო.

# უკვდავება



# 26

## მაისი

1918

# 71

წლისთა.

პარიზი-1989 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პრეზიდენტი ნოე ჟორდანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეზიდენტის ეს სურათი გადაღებულია თბილისში, სა-სახლის ბაღშიდ დილით 26მაის 1918 წელს. ხეიმი 1918 წელს 26მაის ,დილით ამიერკავკასიის გაუქმებუ-ლათ გამოცხადდა,ამ ფაქტის შესაბამისად ამიერ კავკა სიის ერები ცალ-ცალკე სახელმწიფოებად გაიმიჯნენ და გამოაცხადეს მათი დამოუკიდებლობა.

იმავე დღესვე, 1918 წლის 26 მაის , ნაშუადღევის ხუთ საათსა და ათ წუთზე, შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელმაც ერთხმად დაავალა მის თავჯდომარეს ნოე ჟორდანიას საქართველოს დამოუკი-დებელ სახელმწიფოდ გამოცხადება.

ეროვნულ საბჭომ ნოე ჟორდანიას გადასცა წასაკითხად საქართველოს დამოუკიდებლობის განსაკუთრებული აქტის ტექსტი, რომლითაც მან სასახლის თეთრ დარბაზიდან მსოფლიოს ამცნო, რომ"ამიერიდან საქართველო სუვე-რენული სახელმწიფოა, და ფორმათ მართველობისა ირჩე-ვს დემოკრატიულ რესპუბლიკას"-ო.

--..--

პრეზიდენტის წერილი "ერის დღესასწაული 26 მაისი„ ქართულიდან ფრანგულათ თარგმნა მისმა ქალიშვილმა ასმათ ჟორდანია-ფალავასმა.

--..--

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერისდღესასწაული

## 26 მაისი

26 მაისი, ქართველი ერის და ხალხის აღდგომის, თავისუფლების და დამოუკიდებლობის დღეა.

ქართველი ხალხი პირდაპირ, უშუალოდ გათვითცნობიერებული და გამთლიანებული, პირველად გამოვიდა საქვეყნო ასპარეზზე 26 მაისს და მისცა დასაბამი მის ახალ ისტორიას; თქვა ახალი სიტყვა; გამოკვეთა თავისი სავალი გზა. მან აქ პირველად მიაძახა მომავალს: „მე ვარ ჩემი თავის ბატონი. უნდა ვიყო თავისუფალი!

ჩვენს ირგვლივ იცვლება ყველაფერი, იქსოვება ახალი მოვლენათა ქსელი, ხდება გადაჯგუფება—გადმოჯგუფება, მთელი რიგი ისტორიული გადასხვაფერებისა.

არ იცვლება მხოლოდ ერთი მოვლენა: არ იცლება **ოცდაექვსი მაისი;** ის რჩება იქ, სადაც დაიბადა, უცვლელათ, შეუდრეკელათ, ამაყათ.

და ეს იმიტომ, რომ მისი ძირი, მისი ფესვები ღრმად არის გადგმული ქართველი ერის სულსა და გულში, მან სამუდამოთ დაიპყრო მთელი ხალხი, მან აშკარათ დაანახვა მას სასიცოცხლო გზები.

26 მაისს ქართველობა დაეპატრონა თავის თავს, როგორც ერთი მთლიანი ერი, გამოკვეთა ერთი ხალხი ჭირში და ლხინში განუყრელი. მან სთქვა თავისი საკუთარი სიტყვა ცხოვრების ყველა დარგში: პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ და ნაციონალურ ურთიერთობაში და მან ეს აღბეჭდა ჯერ საქმით და შემდეგ სიტყვით — კონსტიტუციაში.

მოსკოვმა მოგვტაცა ეს სიდიადე, გასტეხა ჩვენი წყობილება, მოსპო ჩვენი თავისუფლება. ვერ მოგვტაცა მხოლოდ ჩვენი სული, ვერ გასტეხა ერის მორალი, მისი მთლიანობა, მისი გადაწყვეტილება — იყოს თავისუფალი.

26 მაისი ბუდობს თვითეულ ქართველში; ის აღარ ფრიალებს გამოჩენილათ საქართველოში. ის ფრიალებს გამოუჩენელათ ყველა ქართველში. აი ეს მორალური ძალა, ეს სულიერი სიმტკიცე და ურყევი იდეალი არის აუღე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბელი სიმაგრე. რასაც შეასკდება მტერთა იერიშები. ის უტყუარი თავდებია მისი საბოლოო გამარჯვების. ამ ისტორიულ სტიქიას ვერავითარი ძალმომრეობა ვერ მოსპობს, ვერ შეაჩერებს; იგი გადალახავს ყველა დაბრკოლებებს და ამა თუ იმ გზით აღსდგება, — 26 მაისი კვლავ აშკარათ გამოანათებს და ერის მსვლელობას უმეთაურებს.

დღეს საერთაშორისო ურთიერთობა ცვალებადია; ხან ერთი ზარი ჩამორეკს, ხან მეორე. ამ ისტორიულ ზვირთთა სრბოლაში, ამ არეულ-დარეულ ხანაში ქართველი ერის პატარა ნავი გასცურავს სამშვიდობოზე მხოლოდ ერთი საშუალებით — მისი მთლიანობის შენახვით, მისი თავის თავის ერთგულებით, მისი 26 მაისით.

ნ. ჟორდანია.

# Le 26 Mai

Le 26 Mai est le jour où la nation et le peuple géorgien ont retrouvé leur liberté et leur indépendance.

C'est le jour où la Géorgie, unie et consciente, s'est manifestée pour la première fois sur la scène mondiale et a donné naissance à sa nouvelle histoire.

C'est le 26 Mai qu'elle a prononcé des paroles nouvelles, tracé le chemin à suivre et, pour la première fois, s'est adressée à l'avenir :

*Je suis mon propre maître,*

*Je dois être libre.*

Autour de nous tout change, une nouvelle trame se tisse, faite de changements historiques.

Seul le 26 Mai demeure. Il reste là où il est né, immuable et fier, car ses racines sont profondément ancrées dans l'âme et le cœur de la nation géorgienne.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Le 26 Mai a rendu aux Géorgiens leur souveraineté et lui a clairement montré le chemin de la vie.

Le 26 Mai a conquis à jamais le peuple tout entier et le sentiment de leur unité indéfectible dans le malheur et le bonheur. Les Géorgiens ont pu enfin s'exprimer librement dans tous les domaines : politique, économique, social, national. Ils l'ont affirmé dans la Constitution, par la parole et par l'action.

Moscou nous a ravi nos droits et notre liberté. Elle n'a pu nous voler notre âme, ni briser la force morale, unité et la détermination du peuple à redevenir libre !

26 Mai demeure dans le cœur de chaque Géorgien. Il ne flotte plus ouvertement dans notre patrie, mais secrètement dans l'âme de tous les Géorgiens.

C'est cette force morale, cette conviction profonde, cet idéal inébranlable qui sont nos remparts. Ils nous garantissent la victoire finale, quelle que soit la puissance de l'ennemi ! Rien ne pourra anéantir, rien ne pourra stopper ce bouleversement historique. Il surmontera tous les obstacles et triomphera tôt ou tard.

Le 26 Mai éclairera de nouveau et conduira les destinées du peuple géorgien.

Aujourd'hui, la situation mondiale est changeante. Par ces temps houleux et incertains, le frêle esquif de la nation géorgienne arrivera à bon port, à une seule condition :

LA CONSERVATION DE SON UNITÉ
ET DE SON 26 MAI !

Noé JORDANIA.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დიდება თავისუფლებას!

დიდება ქართველ ერს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

9.

# ნოე ჟორდანიას ზოგიერთი მოსაზრებები ბოლშევიკებზე .

ჩვენ საქართველოს სოციალ დემოკრატიული პარტია გა-ვემიჯნეთ თავიდანვე(1903წ.) ბოლშევიკებს თეორიულად, მას შემდეგ ვებრძოდით იდეურად და პრაქტიკულად (წყარო ბ.ხმა№1). რისთვის?

1. ბოლშევიკების მიერ დაარსებული საბჭოთა ურთი-ერთობა სპობს ყველა საშუალებას, მაგრამ კეტა-ვს ყველა კარებს, არავის აძლევს გასაქანს არც სულიერს და არც მატერიალურ სფეროში, შა-ვი რეაქცია გამეფდა, ბურჟუაზიული ურთიერთობა ხალხს სანატრელი გაუხდა, რადგან ის იძლეოდა საშუალებას ბრძოლისა და მოძრაობისას.("ბრძო-ლის ხმა" № 1-1925 წელი).
2. რუსეთში, მეფეთა რეჟიმი შეცვალა საბჭოთა ტი-რანიამ, გაცილებით უფრო მკაცრმა და დაუნდობე-ლმა.( "ჩვენი დროშა" 7.).
3. ბოლშევიზმი არის ძველი რუსულ აზიურ ბარბარო-სობის აღდგენა.(ახალი ნაწერები გვერდი 37-41წ)
4. ბოლშევიკები არ სცნობენ არც კერძო საკუთრებას და არც ნაციას (ახალი ნაწერები, გვერდი 37-41წ
5. ბოლშევიკებისათვის, თუ მათი ხელისუფლება არ იქნა მათთვის დანარჩენი არასფერი არ არსებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბს ("ბრძოლის ხმა" 51-1935 წ.)

6. ყველა ტირანია უარყოფს სავსებით ჰუმანიზმს, ადამიანთა, პიროვნებათა განვითარებას და კაცის ადამიანათ გადაქცევას. მისთვის არსებობს მხოლოდ გაბატონებული ვიწრო წრე და მის წინაშე დაჩოქილი ადამიანთა ბრბო, სადენ და საწველ ჯოგათ გადაქცეული , თვითონ ყველაფერია, ხალხი არაფერია, მხოლოდ საკრეჭი ფარაა, დამონებული ხალხი დესპოტიის სარბიელია(ბ.ხ. 1935 წ.)

7. საბჭოთა რუსეთს, არავითარი კავშირი არ აქვს, ადამიანურ სოციალურ წყობასთან(ახ.ნაწერები41წ)

8. ბოლშევიზმი სოციალიზმის საშინელი კარიკატურაა.

9. ბოლშევიზმი მშრომელ ხალხს, უჭრის იმ ხეს,რომელზედაც ის ზის. ართმევს იმ მჭრელ იარაღს, რომლითაც ის თავს იცავს და მტერს უტევს(გაფიცვა, თავისუფალი კავშირი და სხვა). ამაზედ უფრო დიდი მტერი ხალხს თავის წიაღშიდ არასოდეს არ ყოლია.("დემოკრატია" გვ. 32- 1933 წელი).

10. ბოლშევიზმი და ნაციზმი გაზვიადებული ეტატიზმია ჰიტლერი იმეორებს ნაპოლეონის ცთას, მოიმკის იმავე ნაყოფს. მოსკოვში არც საზოგადოებაა, არც ადამიანი ,არის მხოლოდ ტირანების შაიკა და დამონებული ბრბო.(გვ.18-ნოემბერი1941 წელი)

11. ქართველი ბოლშევიკები, რუსეთის იმპერიალიზმის ყურ მოჭრილი მონებია.("ბრძოლა№8 -1926 წელი)

12. საქართველოს განთავისუფლება შესაძლებელია, როგორც შედეგირუსეთის შინაგანი და საგარეო კონფლიქტებისა, რაც გამომდინარეობს საბჭოთა წყობილების შინაგან ბუნებისაგან, მის საარსებო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვისებებისაგან, რომლის მოშლა იქნებოდა თვით წყობილების დანგრევა. ("ბრძოლა" 8- 1926 წელი).

13. ბოლშევიკებმა მცხოვრებნი ჩააყენეს ჯოგის მდგომარეობაში. ამ ჯოგს ისე მიდენ მოდენიან, როგორც ცხოველებს, საითკენაც მოისურვებენ, ადამიანი მათთვის სრული არარობაა.

ბოლშევიკებმა შესძლეს ტერორით ძველი რუსული ბარბაროსობის აღდგენა.(ა.ნ. გვ.34 1941წელი)

---..---

მეგობარი.

აქ ნებას მივცემთ თავს მოვაგონოთ პატივცემულო მკითხველო ნოე ჟორდანიას გასაუბრება ლენინთან, რომელსაც ის მოგვითხრობს თავის პარიზში გამოცემულ წიგნშიდ "ჩემი წარსული"-ს ფურცლებზედ, რომელსაც გთავაზობთ შემოკლებულათ.

"1903 წელს ლონდონში მოწვეულ რუსეთის ს.დ.პარტიის კონფერენციაზე მოგვითხრობს ნოე ჟორდანია პარტია ორათ გიყო,:ეგრედ წოდებულ ბოლშევიკებათ და მენშევიკებათ, ქართველების დელეგაცია მივემხრეთ მენშევიკურ ფრთასხო. გამოვდივარ დარბაზიდან და ვილაც მეძახის, მოვიხედე ლენინია, მეუბნევა თქვენთან ლაპარაკი მსურსო, მან სიტყვა სიტყვით მითხრა შემდეგი: "თქვენ რუსის ხალხსარ იცნობთ, თავი დაგვანებეთ თქვენ წადით დამართეთ საქართველო თქვენებურათ ქართველურათ, ჩვენ კი დაგვანებეთ ვმართოთ ჩვენი ხალხი ჩვენებურათ, რუსეთურათ, რუსის ხალხს კნუტი ესაჭიროებაო".

ლენინმა დიდებულათ,ერთგულათ შეასრულა თავის სიტყვები, მან და მისმა მემკვიდრეებმა კნუტით და სისხლიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერორით მართეს რუსეთის თვალ უწვდომელ ტერიტორიაზე მცხოვრებნი და მათ შორის მათ მიერ ძალით დაპყრობილი საქართველო და მისი ბედშავი მოსახლეობა.

მიუხედავათ საშინელ სისხლიან ქარიშხალისა, რომელიც ჩვენმა ერმა გადაიტანა, რუსული ხიშტით ვერ ჩაკლეს ფოლადური ნებით აღზნებული ქართული ეროვნული სული, და მის გულის ფიცარზე სისხლით აღბეჭდილი შეურიგებელ ბრძოლის მტკიცე სურვილი თავისუფლებისა, რომლის დასაცავათ ურყევი გადაწყვეტილებით, სპეტაკი გრძნობებით, ღრმა აზრით გაერთიანებული გოლიათურ გამბედაობით მივიდა ჩვენი მომავლის იმედი, ჩვენი ერის საამაყო ახალგაზრდობა, სამშობლოს თავისუფლებასა და კულტურის სამსხვერპლოს წინაშე მოვალეობის მოხახდელათ, ამა წლის 9აპრილს მშვიდობიან დემონსტრაციაზე.

მოსკოვიდან საჩქაროდ გამოგზავნილ მკვლელ რაზმელებმა დალესილ ნიჩბებით ბარბაროსულად, ულმობლად დაგვიჩეხეს და სიცოცხლეს გამოგვისალმეს, ჩვენი ახლად ულვაშ აყრილი ყმაწვილ-კაცობა, და მათ გვერდში მყოფნი მარგალიტის მსგავს თეთრ კბილებიანი მომღიმარი ლამაზი ჩვენი ბედშავი უდანაშაულო გოგონები.

მათ აღარ მოესწროთ მომავალ დიად დღესასწაულის აღდგომის შეხვედრა მხიარულებაში მათ მშობლებთან, ნათესავ მეგობრებთან აღდგომის წითელი კვერცხის დარტყმა და გატეხვა.

წელს მათი განაწამები მშობლები შვილების სასიხარულოდ აღარ გააწყობენ სააღდგომო ნათელ სუფრას, რომლის ირგვლივ, ნაცვლად მხიარულ ყრიამულ, სიმღერა კისკისისა, გაისმის შავ ძაძებით მოსილ, სახე დაკაწრულ უბედურ დედათა, მწარე შემზარავი მოთქმა, რომლებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ შვილთა შემზარავ კუბოებს დასტირიან ცხარე ცრემლით, კუბოებმა შესცვალეს აღდგომის ხუფრები. ყველა წვეთი თქვენ მიერ დანთხეული სისხლის არის ცანჯულ საქართველოს შეუმშრალი ულეველი ცრემლები.

დადგება ჟამი, საქართველოს თავისუფლების საათიც დაჰკრავს, თქვენ მიერ დანთებულ ცეხლზე ჯალათები დაიწვებიან, და ისინი ვინც ეს ბოროტება ჩაიდინა დამიწდებიან, თქვენ კი ვით მანათობელი მზე შეხვალთ, როგორც საამაყო შვილები საქართველოს ისტორიაში.

მოვა დრო და იმ ადგილს სადაც თქვენი უმანკო სისხლი დაიღვარა 9 აპრილის სახელი დაერქმევა.

საქართველო ნიშნად მადლიერების, სიყვარულისა და პატივის ცემისა აგიგებსთ ძეგლს უკვდავებისას, იმავე ადგილზე სადაც, თქვენ ასე შეუბრალებლათ ჩაქჩეხესთ და სიცოცხლეს გამოგასალმესთ.

თქვენ მომავალ ძეგლზედ მუდამ იქნება შავი არშიით მოჩითული დახრილი სამ ფეროვანი ეროვნული დროშა, რადგან თქვენ გახდით სამშობლოსათვის წამებულნი, ზეციერი ბინადარნი და ყველა ქართველი თქვენ ძეგლთან გამვლელი, შეჩერდება... მოწიწებით თავს მოიხრის და პირჯვარს დაიწერს. ყოველ წლის 9 აპრილს თქვენი ვარდ ყვავილების ქალაქი თბილისი, მის წიაღში მოწყვეტილ ვარდთა თაიგულებით შეამკობს თქვენ მომავალ ძეგლს, რათა სამარადისოთ უკვდავ ჰყოს მისი ცანჯული შვილების სახელები.



ლ.ფ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# 26

# 1918 მაისი 1989 წელი

დიადი 26 მაისი გამონათებას ჰგავდა, რომელიც მუქურ ვარსკვლავივით გამობრწყინდა ჩვენი ერის **ცხოვრებაში** და ზენგალის ცეცხლივით გაუნათა ქართველ ერს მისი ნანატრი საოცნებო ხანის ახალი სავალი გზა.
26 მაისი **გახდა** ჩვენ **განაწამებ** ერისათვის, **ტოლი** დედის გულის სითბოსი წარმტაცი მომჯადოებელი სიყვარულითა და ტკბობით, რადგან აღსდგა საქართველო ერთ მთლიან განუყოფელ სუვერენულ სახელმწიფოთ,. **და გამოვიდა, როგორც ასეთი საერთაშორისო ასპარეზედ.**

შავი თებერვლის თერთმეტს, 1921 წელს, საბჭოთა რუსეთი **ვერაგულათ** თავს დაგვესხა და უთანასწორო გაათრებული ბრძოლების შემდეგ დაგვამარცხა, მოგვტაცა ქართველი ერის უდიდესი მონაპოვარი, თავისუფლება ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგვიუქმა თვითმყოფი ქართული სუვერენული სახელმწი-ფო, და თავს მოგვახვია ჩვენი ერისათვის სრულიად მიუღებელი რუსეთური ტირანიული ბოლშევიკური წყობი-ლება.

უცხო უხეშმა ძალამ , მიუხედავად გაუგონარ სისხლიან ტერორისა ვერ ჩაგვიქრო თავისუფლების ლამპარი, რადგან ერმა რა იხილა 26 მაისის მადლი, ის მის მზედ აღიარა, და ვით ვარდმა ზულზული მის ტყვედ ჰყო, აღტაცებულ , აღფრთოვანებული თვითმყოფობის და თავისუფლების სა-ხოების შვებით მოხიბლულ მოჯადოებული.

26 მაისი ღრმადაა ჩაწნულ ჩაკირული ყველა ქართველის გულშიდ, და მას ვერ აღმოფხვრის ვერავითარი ძალა ქართველი ერის ყოფა ცხოვრებიდან, ის უკვდავი და მარადიულია.

**ვიხაროთ ქართველნო, რადგან მოდის ძალა, ძალა მხხვე-**რპლთა გამარჯვებისა, ის უკვე მოსულია, **მის** ძლევა მოსულ სვლას ვერვინ ველარ შეაჩერებს, და თეთრი გიორგი, თეთრ ცაიჯზე შემართული, ტრიომფატორ გამა-რჯვებული დიადი 26 მაისის თავისუფლების სამ ფეროვან დროშით კვლავ მოევლინება ჩვენ **ტანჯულ** სამშობლო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს.

---..---

ლევან ფალავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ყურადღება!
# ყურადღება!



# 9 აპრილი

## ეროვნული გლოვის

## დღეა.

- 17 -

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისის

# სისხლიანი

# მძიმე დღეები



ბიბლიოთეკა LIBRARY

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

„სიკვდილით ვერ შეგვაშინებთ! ჩვენი სიკვდილი საქართველოს განთავისუფლების თავდებია. იგი დაასალკლდევებს ერის სიმტკიცეს და ერთი ათასად გაამრავლებს მებრძოლთ".

ვ. წულუკიძე.



„მე ვკვდები სიხარულით, რადგანაც ღირსი გავხდი სამშობლოს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანისა. ჩვენი სიკვდილი გამარჯვებას მიუტანს საქართველოს".

ქ. აბხაზი.

# სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა არ დავივიწყებთ

# თბილისის სისხლიანი კვირა დღე

# 9 აპრილი

**1989 წელი**

კიდევ ერთი სისხლიანი თარიღი - 89 წელი 9 აპრილი ქართველი ერის, თავისუფლებისათვის და მთლიანობის თავგანწირული ბრძოლის და თავდადების დღეა.

9 აპრილი სიკვდილისა და ქმუნვის პაემანია, რადგან ამ დღეს საქართველოს ერთგულ შვილებს, რუსული ტყვიით განუგმირეს ის გული, საიდგანაც სჩქეფდა ჩვენი დედულ-მამულის სიყვარულის, თავისუფლების და მთლიანობის უკვდავი შადრევანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. აპრილს ჩვენი ქვეყნის ჯალათებმა, ჩვენ ჭალარა დედა ქალაქ თბილისში , რუსთაველის დიდებულ გამზირზედ კვლავ დაღვარეს განუკითხავად სისხლი , სისხლი უმანკო ქართველ ქალ-ვაჟთა, რომლებმაც მშვიდობიანი დემონსტრაციით გამოხატეს მათი ლტოლვა საქართველოს მთლიანობის დაცვის და მეტი დამოუკიდებლობის, აქედან მათი ამირული ნებისყოფა, აღტაცება და გოლიათური გამბედაობა, სიმბოლო მათი სამართლიანი მოთხოვნილების და საბოლოო გამარჯვების .

ნაცვლად დამაჯერებელ დამარწმუნებელ დიალოგისა ხელისუფლება თქვენ, ამ ეგრედ წოდებულ "პერესტროიკის" ხანაშიც ლაჩრულ **მკვლელობით** , გაგიმახსინძლდათ, და მშვიდობიანი დემონსტრაცია საშინელ ხოცვა-ჟლეტის კაცთა სამარცხვინო სისხლიან არენათ აქცია.

საქართველოს არასოდეს ლალატი არ ჩაუდენია რუსეთის წინაშე, მეორე მსოფლიო ომში საქართველომ პროპორციანულად ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღო, სამას ორმოცდა ათი ათასი ქართველი დაეცა ბრძოლის ველზე **მათი** ქალაქების, დაბების და სოფლების დასაცავათ, ჩვენ ღრმად გვწამდა, რომ ერთად დანთხეული სისხლი განამტკიცებდა ჩვენ მეზობლურ კეთილ ურთიერთობას და პატივის ცემას , თქვენ კი ნიშნად მადლობისა **დალესილ ნიჩბებით შეუბრალებლათ დაუჩეხეთ თავები** მამის, ალერს მოკლებულ ობლობაში გაზრდილ მათ შვილებს, შვილი-შვილებს და მათ შთამომავლობას, ამ მეთოდით გსურთ თქვენ რუსეთისადმი ერების დაახლოება და ან ნდობის აღდგენა დამსახურება?.

თქვენ თქვენი ბარბაროსული ქცევით ნიღაბი ახადეთ რუსულ ბოლშევიზმს და მსოფლიოს აჩვენეთ ნამდვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხახე საბჭოთა იმპერიის ბოროტობის, ძბიერობის, ვერაგობის და გაუტანლობის.

ჩვენო დიდებულო ახალგაზრდობავ!

თქვენ, როგორც წარსულში თქვენმა მრწყინვალე მამა პაპებმა რაინდულათ შეაპკურეთ თქვენი უმანკო სისხლი, სამშობლოს თავისუფლებას და მთლიანობას, თქვენ მოგვევლინეთ განახლებული იმედებით, იდეალებით, აღფრთოვანებით და აღტაცებით კვლავ აღმართეთ დიადი 26 მაისის სამ ფეროვანი დროშა, რისთვისაც თქვენ მოგკლეს, მაგრამ ვერ დაგმარხეს, თქვენ ერის დაჭრილ წყლულ გულშიდ გამოქანდაკდით, როგორც წამებულნი სამშობლოსათვის, იდეისათვის და სპეტაკი აზრისათვის.

თქვენი გმირული მაგალითით თქვენ კვლავ საქმობთ და ამიტომ სამარადისოდ რჩებით ჩვენ შემეცნებაში, ოცნებით მუდამ გვერდშიდ გვეყოლებით განუყრელათ, როგორც მშვენება ჩვენი ეროვნული ბრძოლებისა, მსგავსი თქვენნი კვლავ მოვლინებოდეს ჩვენს ბედკრულ სამშობლო საქართველოს.

თქვენ ერის სამსხვერპლოზე უყოყმანოთ მიიტანეთ თქვენი სიცოცხლე ჩვენი ქვეყნის უკეთეს მერმისისათვის, მაგრამ გახსოვდეთ: პატარა ერისათვის არაფერია ისე სავალდებულო, როგორც სიფრთხილე, მოთმინება და ძალთა დაზოგვა, რადგან რაოდენობა ჩვენი სუსტი მხარეა, ესიცოდენ ჩვენმა წინაპრებმა, ამიტომ ვითვლით დღეს საუკუნოებს ჩვენი ერის ისტორიულ არსებობისას.

საშინელ სევდით დამძიმებულ განწყობილებით მოსილი სამშობლოს გამოღმა ძალით გადმოხვეწილი ბედშავი ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთველობა ვუერთდებით სამშობლოს ეროვნულ გლოვას, და ვიზიარებთ თქვენ ცრემლ ულეველ განაწამებ დედათა უზომო მწუხარებას, რომლებსაც ერთხელ კიდევ ჩააცვეს გაუხდელი შავები და მთელ ქართველ ერს გლოვის სუდარა გადააფარეს.

საქართველოს ს. დ. პარტიის
საზღვარ გარეთელი ბიურო.

--..--

# ეკლის პერანგი

„მოძმეთ სისხლი ცას შესჩუხჩუხებს...“
ალექსანდრე ყაზბეგი

ზარდაცემული ულვთო ღალატით
და დაჩეხილი მკერდით,
ეს რა დღეშია ჩვენი ქალაქი,
ჩვენი თბილისი, დედი!
სიკვდილი მოდგა, ბილწი, ვერაგი,
მე ბოლმა მახრჩობს, უძლურს,
ისევ ჩაგაცვეს ეკლის პერანგი,
ისევ მოგკვეთეს ძუძუ!

--.--

თითქოს გათენდა,
მზემ ჩამოწვეთა,
მკვდრეთით აღსდექი თითქოს,
მაგრამ, ჰა, მოსკდა სისხლი მოძმეთა
და ღვთის სამართალს ითხოვს!

მზია ჩხეტიანი

ლიტერატურული საქართველო, 21 აპრილი, 1989

ეროვნული
ბიბლიოთეკა

✝

შემაძრწუნებელ ხაშინელ ხოცვა-ჟლეტის, ერთ-ერთი უმა-ნკო მსხვერპლი, ჩვენ დედა-ქალაქში.



თბილისი ცრემლით და ოხვრით ეთხოვება 9 აპრილს გმი-რულად დალუპულ მის საამაყო შვილებს.

კუბოში მწოლარე თითქოს მომლიმარი ქალწული,გვამცნობს მათ ველურობას,დაუნდობლობას და ბოროტებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს შვილნო!

არასოდეს არ დაივიწყოთ, ეს მწუხრი გოდების სურათი, და ისინი ვინაც ეს უპატიებელი სატანიური, შემაძრწუნებელი მკვლელობა ჩაიდინეს ქართველი ერის წინაშე, და სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლნი შეუბრალებლათ უდროოდ შემზარავ კუბოებში ჩაგვისვენეს.

ამ უმანკო, მშვიდობიან მსხვერპლთა ცოდვა მათ უწევსთ, და ისტორია იმ ადამიანთა შემარცხვენელ მოდგმას უკუნეთ-უკუნისამდე რისხვით შეაჩვენებს, დალახვრამს, და წყევლა კრულვით მოიხსენიებს, მშვიდობიან დემონსტრაციის მონაწილეთა ვერაგულ ხოცვა-ჟლეტისათვის, რომლებმაც მხოლოდ გულწრფელად, სამართლიანათ, კანონიერათ, მშვიდათ გამოამჟღავნეს მათი ნება სურვილი იყვნენ თავისუფალნი და თვითმყოფნი.

აი სიაც ჩვენ ზედკრულ სამშობლოს რაინდებისა, რომლებიც მას ულმობლათ მოუკლეს 9 აპრილს მოსკოვიდან საგანგებოთ გამოგზავნილ კაცთა მკვლელობაზე დაგეშილ სპეციალურ რაზმის ნაწილებმა, და ჩვენი დედა-ქალაქის ქუჩები მათი უმანკო სისხლით დატბორეს.

(ეს პირველი შეტყობინება 9 აპრილის მსხვერპლთა გვარებისა მიიღო პარიზის ქართულ სათვისტომოს გამგეობამ 12 აპრილს, ნაციონალურ მოძრაობის ოპოზიციიდან)

1. აზა ადამია, 2. გია არჩვაძე, 3. ალიკო ახმენა-
შვილი, 4. ლეილა ბარათელი, 5. ნინო ბარათელი,
6. ევა ბერძენიშვილი, 7. ველა დანელია, 8. ნოდარ
ყანგირაშვილი, 9. მანანა ყარაძე, 10. მზია ჯი-
ნჭარაძე, 11. მანანა ლოლიძე, 12. ნიკო ლოლიძე,
13. თამუნა ლოლიძე, 14. თინა ენუქიძე, 15. ველა
ვაზელია, 16. ლევან გაჩეჩილაძე, 17. ლია გი-
ორგაძე, 18. ნაცო გიორგაძე, 19. დათო გიორგო-
ბიანი, 20. გოჩა გოჩიაშვილი, 21. გია ქარსხე-
ლაძე, 22. ნინო ხარბავა, 23. ზაირა კიკვაძე,
24. ზურაბ კველიძე, 25. თამარ მამულაიშვილი,
26. გოგი მანელავა, 27. თეო მარელაშვილი, 28, მა-
ნანა მელქაძე, 29. მანანა მეუქაძე, 30. ნუკრი
მერაბიშვილი, 31. გოგი მიქაძე, 32. გოჩა მი-
ქაძე, 33. ალიკო მირზიანი, 34. მანანა მორაძე,
35. მამუკა ნოზაძე, 36. სამარგულია მანანა, 37. ნა-
ნა სამარგულია, 38. ელისო ჭიპაშვილი, 39. მარი-
ნა ჭყონია(11წლის), 40. ნინო სოიძე, 41. თამარ
ცნობილაძე, 42. გოჩა ვოციაშვილი.

ნუთუ ესაა " პერესტროიკა" "გლასნოსტის" მოსაკი-
თხი მოსკოვური "რუსული საჩუქარი"?, და ან ერთა "მე-
გობრობის" სანუკვარი დაუვიწყარი აღთქმული საოცნებო
კეთილშობილური , გულწრფელური მეგობრობის საწინდა-
რი, თანასწორობის ნიადაგზე? ს ა მ წ უ ხ ა რ ო თ
ეს თქვენი მემკვიდრეობითი მოღალატური ბედითი ერების
მიმართ არ ახალია ძველია .

"ჩვენი დროშის" რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ჩვენი დროშის" მიმომხილველის ბარათი საქართველოს პარიზიდან.

--..--

ჩვენო ბედ-შავნო ძვირფასნო თანამემამულენო!

ამა წლის 9 აპრილს თბილისში მომხდარ, შეუბრალებელ ველურ ხოცვა-ჟლეტამ აქ საფრანგეთში დამწუხრება, გაოცება, სევდა და სინანული გამოიწვია.

თქვენ, რომლებმაც შესწირეთ , სამშობლოს თავისუფლებას, თქვენი სიცოცხლე, თქვენი გული, სურვილით წყლული, ფართო გამოძახილი ჰპოვა აქაურ პრესაში, ტელეხედვაში, და რადიოში, რომლებმაც სულდამმძიმებულ განწყობილებით ფართო ვითარებაში ამცნეს მთელ მსოფლიოს თბილისის ქალთა, ბავშთა, და კაცთა საზარელი შემაძრწუნებელი, დაუნდობელი მკვლელობა, რომელიც ჩაიდინეს მოსკოვიდან საგანგებოთ გამოგზავნილ ადამიანთა სიკვდილ ნადირობაზედ დაგეშილ სპეციალურ ჯარის ნაწილებმა, რომლებმაც ულმობლათ, მხეცურად, განუკითხავად ლაფართქებით, და ხელკეტებით ჩაქოლეს და სიცოცხლეს გამოასალმეს უდანაშაულო მშვიდობიანი მანიფესტაციის მონაწილე ჩვენი ბედ-შავი საქართველოს შვილები, და ჩვენ სამშობლოს კიდევ ერთხელ რუსული ხიშტით მწარე მწუხრის სარქველი დაადვეს, და ჩვენ ხალხს კი შავით მოჩითული გლოვის სუდარა გადააფარეს რათა დამალონ მათი მხეცური საქციელი მსოფლიოს წინაშე და ის შეუხორცებელი საშინელი იარა, რომლითაც მათ საქართველო დაღალეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენმა აქ დაბადებულ ახალგაზრდობამ დიდათ იმარჯვა, გამოვიდენ ტელეხედვაში, რადიოში, სახელდობრ: ექიმი ოთარ ზურაბიშვილი, თამაზ ნასყიდაშვილი, (რადიოში) და საქვეყნოთ ცნობილი სავეტოლოგი ქალბატონი დანკო-სისა აწ განსვენებულ გ. ზურაბიშვილის ქალიშვილი, აქვე უნდა გაცნობოთ, რომ ექიმ ოთარ ზურაბიშვილის და ქალბატონ ელენა დანკოსის მკვიდრი დიდი ბაბუაა ცნობილი ხაზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე.

მათ ტელე ხედვით და რადიოთი ამცნეს ათეულ მილიონ-იან მაყურებლებს და მსმენელებს თბილისში მომხდა-რი საზარელი ამბები ,გააცნეს თუ საბჭოთა წითელი ჯარები,როგორ მუხანათურად, ომის გამოუცხადებლათ თებერვლის თერთმეტს 1921 წელს თავს დაესხენ მის მიერ ნაცნობ ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას და გაცხარე-ბული სისხლის მღვრელ შეტაკებების შემდეგ დაგვი-პყრეს, და მთელ ერს სისხლით დაფერილი ხუნდები დაადვეს.

პატარა ჩვენი ქვეყანა არასოდეს არ შერიგებია სა-ქართველოს ძალით საბჭოთა რუსეთის იმპერიის უცხო სხეულშიდ ჩაწვნა, ჩაქსოვას და იბრძოდა თავდავიწყე-ბით მის განთავისუფლებისათვის.

ყველა ყოველ დღიურ თუ კვირეულ პრესამ დაწვრილებით აღწერა თბილისის მშვიდობიან 9 აპრილის მანიფესტა-ცია და ხელისუფალთა გაუგონარი სისასტიკე და შე-მზარავი სისხლის ღვრა, მათი ცნობებით , მოკლულია: 42 ქალ-ვაჟი , ერთი ბავშვი, 500 დაჭრილი და 20 უგზო უკლოდაა დაკარგული-ო.

ყოველ დღიურ დიდი ტირაჟის გაზეთ "ფიგარომ" ვრცელი წერილები მოათავსა ხაზოგადოთ საქართველოს შესახებ

და პირველ გვერდზე ეს შემზარავი ცრემლის მომგვრელი სურათი , რომელიც თქვენთვისაა გადმოღებული ჩვენ ჟურნალში ფიგაროდან, შემდეგი წარწერით:"თბილისი ღირსეულად ეთხოვება მის დაღუპულ შვილებს".

11 აპრილს პარიზში მცხოვრებ ქართველობამ"სოციალისტურ" საბჭოთა რუსეთის მიერ სამარცხვინო ლაჩრულ შემაძრწუნებელ მკვლელობის დასაგმობათ მოაწყო საპროტესტო დემონსტრაციული სვლა პარიზის საბჭოთა საელჩოს გასწვრივ. ადგილობრივ პოლიციამ თავდაჭერილათ მანიფესტანტებს ნება არ მისცა საელჩოს მიახლოვდებოდენ, მაგრამ ნება დართო სამ პირს საელჩოში შესულიყვნენ და საპროტესტო შენიშვნების უსტარი საბჭოთა საელჩოს მოხელისათვის გადაეცათ.

დელეგაცია მიიღო საელჩოს მესამე მდივანმა,რომელიც სომეხი აღმოჩნდა, დელეგატებს მან სამძიმარი გამოუცხადა და მოახსენა, რომ უერთდება საქართველოს ეროვნულ გლოვას. დელეგაციას აღუთქვა, რომ მათ საპროტესტო ნოტას გადასცემს საბჭოთა სრულუფლებიან ელჩს-ო.

დემონსტრაცია იყო მრავალ რიცხოვანი,ნიშნად სოლიდარობისა და ჩვენი ეროვნულ გლოვის გაზიარებისა მოვიდნენ წარმომადგენლები: სომხების, უკრაინელების, ბელორუსების, ვენგრელების, ჩეხების, პოლონლების და სხვა.

11აპრილს პარიზის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში გადახდილ იქნა პარაკლისი 9 აპრილის გმირთა მოსახსენებლათ, პარაკლისის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ფრანგულათ თბილისში მომხდარ ამბებზე ქართული სათვისტომოს ყოფილ თავჯდომარემ ბატონ თამაზ ნასყიდაშვილმა, მიუნხენის თავისუფლების რადიოს კორესპოდენტმა

ბატონ ჯანრი კაშიამ წაიკითხა არქიმანდრიტ იოაკიმ
ახათიანის მიმართვა ყველა მამულიშვილებისადმი,რომ-
ელსაც თქვენ უკვე იცნობთ, მაგრამ ვათავსებთ ჩვენ
ყურნალშიდ, უცხოეთში მცხოვრებ ქართველთათვის, ფრა-
ნგულათ ამ მიმართვის ტექსტი თარგმნა და წაიკითხა
საფრანგეთში დაბადებულ ლია გოგიტიძის ასულმა.
ჩვენი სამლოცველო ვერ იტევდა დამსწრეთა რიცხვს, მათ
შორის იყო ფრანგი მოხუცი გენერალი, რომელმაც გაგვი-
ცხადა , რომ "მოვიდა რათა გაიზიაროს მისი მეგობრის
გმირ პოლკოვნიკ თავად ამილახვრის სამშობლოს ერო-
ვნული გლოვა" .
20 აპრილს ჩვენმა აქ დაბადებულმა ახალგაზრდობამ
მოაწყო იმავე მარშრუტით საპროტესტო სვლა.
აქვე უნდა მოგახსენოთ, გულის ტკივილით, რომ არც
ერთ პოლიტიკურ თუ სახელმწიფო მოღვაწემ,როგორც იტყვი
ან კრინტიც არ დასძრეს საქართველოში მომხდარ ტრა-
გედიაზე, და იმ დროს როდესაც თბილისის ქუჩები ადა-
მიანთა სასაკლაო ზონინათ გადააქციეს, და ჩვენ ახა -
ლგაზრდობას მწარე ტანჯვით კლავდენ , სწორეთ ინგლი-
სის დედოფალი ქალბატონ ტაჩერის თანხლებით იმ დროს
ბატონ გორბაჩოვს მისი მშვენიერი მეუღლით
საზეიმო ვითარებაში ღებულობდა მის ერთ-ერთ სასახლე-
ში, სადაც გაწყობილი სუფრები შამპანიურ,ვისკისა,
ვოდკის, და ნაირ-ნაირ კერძების სიმძიმით იზნიქებოდა
იყო დროს ტარება და მხიარულობა დამატკბობელ მუსიკით

ვის ახსოვდა თბილისი,ან თქვენ დედათა გულშემზარავი
გოდება.
ამიტომ შეგახსენებთ, რომ თქვენ მარტო ხართ, და პა-
ტარა ერისათვის არაფერია ისე საჭირო, როგორც მალე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მოვლა და დაზოგვა, თქვენ მართებული მოფიქრებული ლოგიკით უნდა გააკეთოთ დასკვნები, და იყვეთ ურყევი ზომიერი რეგულიატორი კანონზომიერი წესების დაცვით. თქვენ, რომ ჩვენი ქვეყნის არგამძლე ნავი სამშვიდობოს გაიყვანოთ საჭიროა იყოთ ამ აზობოქრებულ ზღვაში მისი ზვირთების ამყოლ დამყოლნი და არა მის წინააღმდეგ მებრძოლნი რათა ჩვენი პატარა ქვეყანას ავცდინოთ უდანაშაულოთა' საშინელი სისხლის ღვრა და ჩვენ დედებს, ახლობლებს განუზომელი მწუხარება,

და ჩვენ სამშობლოს კი ისტორიულ უფსკრულში დაღუპვა. დიდია თქვენი პასუხის მგებლობა, ყველაფერი უნდა გაკეთდეს ცივი ანგარიშიანობით ჩვენი სამშობლოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვისათვის, პოლიტიკაში გრძნობათა აყოლა მიუღებელი და გამორიცხულია, პოლიტიკამ არ იცის გულწრფელი მეგობრობა, ის მერყევი და ცვალებადია, რადგან მასშიდ უპირველეს ყოვლისა მდგომარეობა ქმნის შეგნებას.

თუ მართლადაც გარდაქმნას სამირკვლათ ნამდვილი დემოკრატია დაედება , ეს იქნება მშვიდობიანი ევოლიუციის გზით უაღრესად პროგრესიული მოვლენა, რომელიც გზას გაუხსნის თანასწორობის ნიადაგზედ კეთილ მეზობლობაზე აგებულ დიალოგს, ყველა საჭირბოროტო საკითხების უმტკივნეულოთ მოგვარებისათვის და გახდება საწინდარი დემოკრატიის გზით ერთა თავისუფლების, მეგობრობის, და ნივთიერ კეთილდღეობის.

ამისათვის საჭიროა მოთმინება, კიდევ მოთმინება, სიფხიზლე და ზომიერება.

შეგახსენებთ შოთა რუსთაველის სიტყვებს "მტერი კაცსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერას ავნებს, კაცი თვითვე თავს, რომ ივნებს". არქარებით ხოფელი არავის არ აუშენებია, საჭიროა დრო იმ ჯერ კიდევ ძლიერ ურჩხულის მოსაშორებლათ, რომელიც ათეული წლების მანძილზე მეფობდა საბჭოთა რუსეთში, რომლის მსხვერპლნი იყავით თქვენ ყველანი. ხვალინდელი გაზაფხული ამ ურჩხულის მოუშორებლათ სამწუხაროთ ჯერ კიდევ ზმანებაა, თქვენ ამ გარდაქმნის პირველ პერიოდში ისეთ მიზნისაკენ უნდა მიისწრაფოდეთ, რომლის აღსრულება შესაძლებელია, რასაც თქვენ მიაღწევთ მხოლოდ მშვიდობიანი მოლაპარაკებით და საქმიანობით. ამას მოითხოვს ჩვენი ერის გარდაუვალი ურღვევი წმინდათა - წმინდა ინტერესები.

--..--

ჭიათურელი, ბაზილინაშვილი.

# დ ა ტ ი რ ე ბ ა

სამშობლოს სევდით დაფერილ,
ძირს დახრილ დროშებს გხედავ,
მთლად საქართველო დასტირის
ცხრამეტ უცოდველ ცხედარს...

ვინ მოგვიშუშებს ამ ტკივილს
ან ვინ შეგვიშრობს ამ ცრემლს?
გულმკვდარ ამერს და იმიერს
დარდის ლოუბელი აწევს...

არ სძინავს ჩვენს დამაწყევარს,
მოსურნეს ერის მოკვლის,
ამირანს მტერთან მორკინალს
კვლავ უმდელებენ ბორკილს...

ბიჭებს, ქალებს და გოგოებს,
ვინც ბედმა გაიმეტა,

მთლად საქართველო დასტირის
ცხრამეტ უცოდველ ცხედარს...

მალე რიყრაყად აღვმართავთ
მათ სისხლს ღამეში დაღვრილს,
ზეცაზე ამოენთება
ცხრამეტი ბაირაღი...

სანთლად აინთებს სამშობლო
მათ სულს
წმინდას და ნეტარს,
მთლად საქართველო დასტირის
ცხრამეტ უცოდველ ცხედარს...

ბადათერ არაბული

ლიტერატურული საქართველო, 21 აპრილი, 1989

ეროვნული
ბიბლიოთეკა



*

# საქართველოს

ყველა მამულიშვილს! განსაკუთრებით კი საღმრთო საქმისთვის, სამშობლოსათვის თავგანწირულ ახალგაზრდებს!

საყვარელნო შვილნო! თქვენ მოგმართავთ, ვინც შეასრულა თავისი უზენაესი მოვალეობა ისე, როგორც ასრულებდნენ მას წმიდა მამები. თქვენ უკვე დაგადგათ უფალმა თავისი ნათელი გვირგვინი, რადგან სახარება გვასწავლის, რომ ღვთის გარეშე ერთი ღერი თმაც არ ვარდება. თქვენი წმიდა სისხლი შეერთო იმ კურთხეულ ქართველ მოწამეთა სისხლს, რომელიც უწმიდესი და უზენაესი მიზნისთვის იღვრებოდა. გჯეროდეთ, რომ სიკეთე ბოროტებაზე უფრო ძლევამოსილია. ქართულ ეკლესიას დიდი სულიერი ძალა აქვს და მაღალი მოვალეობა აკისრია. მე, ასაკოვანი კაცი, თაყვანს ვცემ თქვენს დიდბუნებოვნობას, თქვენს გვერდით ვდგავარ და სიხარულით შევწირავ თავს უფალს, ერსა და მამულს. გამაგრდით შვილებო! შეგეწიოთ ზეციური ძალა. დედა ღვთისმშობლისა გფარავდეთ. ცხრა და-ძმა ანგელისთამან დაგლოცოთ, წმიდა მამები იყვნენ თქვენი თანამდგომნი, წმიდა დედებმან აღგამაღლოთ ნებითა ღვთისითა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევა დედის ძუძუსავით გაამოს უფალმა. ამინ.

არქიმანდრიტი იოაკიმ ასათიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიუ-ორკში მცხოვრებ ქართველობამ, სათვისტომოს თა-
ვჯდომარის მეთაურობით, მრავალ რიცხოვანი დემონსტრა-
ცია მოაწყვეს გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის
შენობის წინ. დემონსტრაციის მონაწილეებმა სასტიკი
პროტესტი განაცხადეს იმის გამო, რომ მოსკოვის მი-
თითებით განუკითხავათ, მხეცურათსიცოცხლეს გამოა-
სალმეს მრავალი მშვიდობიანი დემონსტრაციის მონა-
წილენი 9 აპრილს ქალაქ თბილისში. ნიუ-ორკის მანი-
ფესტაციის მონაწილენი მოითხოვდენ საქართველოს დამო-
უკიდებლობის აღდგენას, რომელიც მოსკოვმა მას ძალით
მოსტაცა.
უნდა აღინიშნოს, რომ ქართველებს გვერდში უდგნენ
საქართველოდან ამოსული ებრაელები, სომხები, უკრაი-
ნელები და თვით რუსებიც კი.

--..--

ამ ჟამად პარიზის დიდ სასახლის თეატრში გამოდის წი-
თელი არმიის ცნობილი მომღერალთა გუნდი. ჩვენი ახალ გაზრდობა
მრავლათ მივიდა თეატრთან, სიმბოლიური ნიშან ხელ-კე-
ტებით, დაადანაშაულეს საბჭოთა წითელ არმიის ჯარის
კაცები და ამხილეს მრავლად მოსულ ფრანგების წინაშე
მათი ბოროტება, სიმხეცე , და ბარებით ხოცვა-ჟლეტა,
ჩაქოლვა, უდანაშაულო მშვიდობიან მანიფესტანტების,
რომელსაც ადგილი ქონდა საქართველოს დედა- ქალაქ
თბილისში, და რომლის ქუჩები მათ მორწყეს საქართველოს
შვილთა უმანკო სისხლით. .
ნიშნები და ხელ- კეტები ჩვენმა ახალგაზრდობამ, ნი-
შნად პროტესტისა და ტრაღიკულ ხსოვნისა თეატრის მთა-
ვარ შესავალს მიაყარეს.

--..--

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ჩვენი დროშა"-ს, სამაისო ნომერი უკვე სტამბაში იყო, და ამიტომ დამატებითი სახით ვათავსებთ ამ ცნობას ჩვენ ჟურნალშიდ.

ტელე-ხედვის მეორე არხზე, სიტყვით გამოვიდა ემიგრაციაში კარგათ ცნობილ პატრიოტების აწ განსვენებულ თამარ და ილია თაყაიშვილების ვაჟი, მატემატიკოსი და საქმოსანი, შალვა თაყაიშვილი, რომელიც 9 აპრილის საზარელ დღეს თბილისში იმყოფებოდა , და ცოცხალი მოწმეა შემაძრწუნებელ ვერაგულ, ლაჩრულ ხოცვა-ჟლეტის,რომელსაც ადგილი ქონდა ჩვენ დედა-ქალაქში.
სადღა იყო მუდამ მომღიმარი, ჩვენი გამამხნევებელი შალვა, მის ვაჟკაცურ ხევლიან, დარდიან სახეს აჩნდა მწუხარების მწარე დაღი.
შალვამ გულში ჩამწდომ სიტყვებით მოუთხრო მილიონობით მაყურებლებს, თბილისის მშვიდობიან დემოსტრაციის მონაწილეთა მხეცური დარბევა მკვლელობა. მოსკოვიდან საჩქაროთ გამოგზავნილ სპეციალურ რაზმელებმა, გალესილ ნიჩბებით, და ხელ-კეტებით ჩაქოლეს და სიცოცხლეს გამოასალმეს უდანაშაულო ახალ გაზრდები.
რუს ჯარის კაცებმა განსაკუთრებული მძვინვარება გამოიჩინეს ჩვენ მოკისკისე, მხიარულ გოგონებზედ, რომლებსაც ბარებით უმოწყალოთ ჩაუმტვრიეს ლამაზი თავები, და მათ ნორჩ ბეჭებს მათი ტვინი გადაანთხიეს, იხმარეს აგრეთვე, რაღაც ახალი უცნობი გაზი, რომლის შესუნთვა მწარე ტანჯვით ასალმებდა მათ, სიცოცხლეს. სტიროდა მთელი თბილისი მათ შვილებს,და ეს უდიდესი ტრაღედია საერო გლოვის დღეთ იქცა.

--..--

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატივცემულო მკითხველო!

"ლიტერატურული საქართველო", ორგანო საქართველოს მწერალთა კავშირისა იშვიათობაა ჩვენს ემიგრაციაში, ამიტომ ამ ჟურნალის უაღრესად გაბედულ, შემართებულ, ყურადსაღებ მოწინავეს გაწვდით, "ჩვენი დროშის" საშუალებით შესასწავლათ და გასაცნობათ.

შორეთიდან ჩვენ სანატრელ სამშობლოს ძალით დაშორებულნი, გლოცავთ და ვეამბორებით თქვენ დიდებულ მახვილ კალამს, რომელიც ამ ტყვიის ლბილი გრდემლია, რომელიც "გასტეხს ქვასაცა მაგარსა" და შვებას, მშვიდობას და საოცნებო ნანატრ თავისუფლებას მოუტანს ჩვენს უდანაშაულო განაწამებ ქართველ ერს.

---

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

# ამხ. მ. ს. გორბაჩოვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენთვის და მთელი მსოფლიოს ფართო საზოგადოებრიობისთვის ცნობილია ის ბარბაროსული აქტი, რომელიც საბჭოთა არმიის ნაწილებმა ჩაიდინეს ქ. თბილისში ამა წლის 9 აპრილს დილის 4 საათზე უნებართვო მიტინგის დარბევის დროს.

თქვენთვის ცნობილია ისიც, რომ მოკლულთა შორის, რომელთა საერთო რაოდენობა ოფიციალური ცნობებით ჯერჯერობით თვრამეტია, 16 ქალი გახლავთ. დიახ, ჯერჯერობით, რადგან იმ 160 დაჭრილს შორის, რომლებიც ამჟამად საავადმყოფოებში იმყოფებიან, ბევრი სასიკვდილოდაა განწირული.

დიახ, თქვენთვის ეს ყველაფერი ცნობილია, მაგრამ გვეპარება ეჭვი, რომ საქმის ნამდვილი არსი იცოდეთ, რადგან ამ სამარცხვინო აქციის ჩამდენნი პირველი წუთებიდანვე ცდილობდნენ საქმე უკუღმართად წარმოესახათ.

არანაკლები უბედურება ის გახლავთ, რომ საკავშირო საინფორმაციო პროგრამა „ვრემიამ" არა მარტო დამახინჯებულად წარმოადგინა ტრაგედიის სურათი, არა მარტო შეცდომაში შეიყვანა ფართო საზოგადოებრიობა, არა მარტო მტრულად განაწყო ისინი ქართველი ერისადმი, ცინიკური გამოხდომებით კიდევ ერთხელ და სამარადჟამოდ დაჭრა ქართველი ადამიანის გული. რა ცინიკურად, ბოროტ დაცინვად გაისმა ფრაზა, რომ ასეთი შემთხვევებისთვის საგანგებოდ გაწვრთნილი ჯარისკაცები თურმე „განსაკუთრებული მზრუნველობით ცდილობდნენ არაფერი ევნოთ ხანშესულებისა და ქალებისათვის". ალბათ, ამ გადაჭარბებული „მზრუნველობის" ბრალია, რომ ბარბაროსულად მოკლულ ქალთა შორის ყველაზე ახალგაზრდა თექვსმეტი წლისაა, ყველაზე ხნიერი კი — სამოცდაათისა!

ეს სისხლიანი აქცია ლოგიკური გაგრძელება და დაგვირგვინება იყო ქართველი ხალხის იმ საყოველთაო ლანძღვა-გინებისა, ცენტრალურ პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში რომ არის გაჩაღებული. სამწუხაროა ისიც, რომ სახელმწიფოებრივი სტრუქტურის პროდუქტების — სტალინისა და ბერიას დანაშაულებრივი საქმიანობა მათი ქართველობით არის ახსნილი. ამ უსამართლო შეურაცხმყოფელმა გამოხდომებმა უკვე შექმნა სხვა მოძმე ერთა არასასურველი განწყობილებები საქართველოს მიმართ. ამ განწყობილებებს ჩვენ ვგრძნობთ ყველგან და ყველაფერში, საქართველოს გარეთაც და თვით საქართველოშიც. განსაკუთრებით იჩაგრებიან ჩვენი ახალგაზრდები არმიაში, სადაც ისინი ხშირად მსხვერპლნი ხდებიან ქართველების მიმართ გაუმართლებელი სიძულვილისა.

ამ სიძულვილისა და უნდობლობის გამოხატულება იყო ისიც, რომ საქართველოს მილიციას არ ანდეს მომიტინგეთა დაშლა. ნდობას ვინ დაეძებს, ბევრი მათგანი საგანგებოდ დაჩეხეს, რათა შემდეგ ეს ფაქტიც მშვიდობიანი მომიტინგეებისათვის დაებრალებინათ.

ამ სიძულვილისა და უნდობლობის დადასტურება იყო ისიც, რომ თბილისის „ბართლომეს ღამეს" ჯარისკაცები უმწეო მსხვერპლთ ალესილ ნიჩბებს და ხელკეტებს ურტყამდნენ შეძახილებით „სტალინისათვის!"

ეს სამარცხვინო, ბარბაროსული აქცია მოხდა მაშინ, როცა მთელი მსოფლიოს წინაშე თავს ვიწონებთ ჩვენში მიმდინარე რევოლუციური პროცესებით, დემოკრატიითა და სახალხოობით. სამწუხაროდ, ეს აქცია დაამთხვიეს თქვენი სამშვიდობო მისიით ვიზიტის დამთავრებას. ამიტომაც საფუძველი გვაქვს დარწმუნებული ვიყოთ, რომ იგი ჩაიდინეს გარდაქმნისა და პირადად თქვენმა მტრებმა. თბილისის სისხლიანი აქცია ხომ არ ემორჩილება იურისპრუდენციის არცერთ მუხლს, არცერთ პარაგრაფს, არავის გაუფრთხილებია მიტინგისა და შიმშილობის მონაწილენი, რომ მათ თავს ასეთი უბედურება დაატყდებოდათ. რასაკვირველია, იყო გაფრთხილებები, მაგრამ იმდენად გამოუკვეთავი და ქარაგმული, რომ ვერავინ წარმოიდგენდა, დემოკრატიისა და სახალხოობის პირობებში, მთავრობის სასახლის წინ, რუსთაველის პროსპექტზე ასეთი სასაკლაო თუ მოეწყობოდა.

განა მრავლისმთქმელი არაა, რომ მომიტინგეთა დაშლისას არ გამოიყენეს ის ცნობილი მეთოდები, რომლითაც ასე მდიდარია მსოფლიოს სახელმწიფოების პრაქტიკა და ყოველგვარი სხვა ღონისძიებების ჩატარების ნაცვლად (წყლის ჭავლი და ა. შ.), პირდაპირ გადავიდნენ ხოცვა-ჟლეტაზე!

ალბათ, თქვენს წინაშე რომ თავი ემართლებინათ, საბჭოთა დემოკრატიის სახელი რომ „ეხსნათ", გადაწყვიტეს ტყვია არ გაესროლათ და მომიტინგეები დღემდე არნახული მეთოდით, საგანგებოდ ალესილი ნიჩბებით დაეხოცათ, რათა შემდგომ ეთქვათ, მიტინგი უიარაღო ჯარმა დაშალაო. რა გულუბრყვილონი აღმოჩნდნენ ჩვენი ახალგაზრდები, როცა მოულოდნელად შემოჭრილ ჯარს დამსხდარნი დახვდნენ. ფიქრობდნენ, დამსხდარებს ხელს არ გვახლებენო. მთვრალი მკვლელები კი, რომლებიც მიტინგის დასაშლელად კი არა, ხალხის დასახოცად შემოიჭრნენ, გაქცეულებსაც არ ინდობდნენ, ეწეოდნენ და ულმობლად უსწორდებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც შემდეგ გამოირკვა, გამოიყენეს ქიმიური იარაღი. მაგრამ ექიმები ხელ-ფეხშეკრულები აღმოჩნდნენ. მათ ვერ გაუწიეს დახმარება დაზარალებულთ, რადგანაც არ იცოდნენ, თუ რა შემადგენლობისა იყო ეს ქიმიური იარაღი. სამხედროებმა კი არაფრით არ ინებეს ამ საიდუმლოს გამხელა:

რა სასაცილოდ (სატირალი რომ არ იყოს) ჩანდა მეორე დღეს გაზეთებში გამოქვეყნებული საქართველოს კომპარტიისა და მთავრობის მიმართვა საქართველოს მშრომელებისა და ახალგაზრდობისადმი. ეს იყო კიდევ ერთი ახალი დაცინვა დილის ოთხ საათზე ჩახოცილი და დაჭრილი ხალხისა, მთელი ქართველი ერისა.

დანაშაულობათა ჯაჭვი კი გრძელდებოდა და გრძელდება. 10 აპრილს, 23 საათზე ტელევიზიით გამოვიდა ამიერკავკასიის ჯარების სარდალი და დედაქალაქს აუწყა: ზუსტად ამ წუთიდან, 23 საათიდან, საკომენდანტო რეჟიმია შემოღებულიო. აუწყა, რომ იმავე წუთიდან ქუჩებში გაჩაღდა ცემა-ტყეპა, მანქანების მსხვრევა, სროლა, დაიჭრა ოთხი კაცი, მათგან ორი უკვე გარდაიცვალა.

რა იყო ეს?

განა არ შეიძლებოდა ბატონი სარდალი თუნდაც ერთი საათით ადრე გამოსულიყო ტელევიზიითა და რადიოთი? (განა კომენდანტის საათის გამოცხადებას არა აქვს თავისი წესი და რიგი?!) რასაკვირველია, შეიძლებოდა, მაგრამ მაშინ ხომ ველარ იპოვნიდნენ ქუჩებში საკბილოს, მაშინ ხომ კიდევ ერთხელ ველარ გვაგრძნობინებდნენ თავიანთ ძლევამოსილებას!

პატივცემულო გენერალურო მდივანო! ნაცვლად იმისა, რომ სინანულის გრძნობამ მაინც გამოუთქმელ ამ ხოცვა-ჟლეტის ორგანიზატორების მხრიდან, არის მცდელობა, რომ დამალონ დაღუპულთა სიკვდილის მიზეზები. ცდილობენ ყალბი ექსპერტიზის შედეგად მათი სიკვდილის მიზეზად გამოაცხადონ არა ალესილი ნიჩბები და ხელკეტები, არამედ ზედასორის შედეგად დაცემის დროს „მიღებული სასიკვდილო“ ტრავმები. ადამიანებს უკვე აღარ სჯერათ ოფიციალური ექსპერტიზისა. ამიტომაც გთხოვთ სასწრაფოდ მოიწვიოთ ექსპერტები შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. და, რაც მთავარია, უკვე ოფიციალურად ავრცელებენ საკმაოდ ნაცად „ვერსიას“, რომ პირველად ახალგაზრდებმა იხმარეს ცივი იარაღი და დაჭრეს ჯარისკაცი! (გავიხსენოთ 1956 წლის ხოცვა-ჟლეტა თბილისში, როცა ანალოგიური პროვოკაცია მოუწყვეს ქართველ ახალგაზრდებს და მთელ ქართველ ხალხს. მაშინ თოლად იპოვეს ამ ფაქტის „შემსწრე“ ადამიანები, და ალბათ, არც დღეს გაუჭირდებათ იპოვნონ სულიერად გათახსირებული ქარიერისტები).

პატივცემულო გენერალურო მდივანო!

ქართველი მწერლები, გამოვხატავთ რა ქართველი საზოგადოებრიობის, მთელი ქართველი ერის სათქმელს, დაბეჯითებით მოგითხოვთ გახცეთ განკარგულება, სასწრაფოდ გამოიძიონ საქმის დანაშაულებრივი არსი, ამხილონ და სამაგალითოდ დასაჯონ ამ უპრეცედენტო ხოცვა-ჟლეტის მომწყობი ყველა დამნაშავე. დასჯასთან ერთად ისინი უნდა გამოცხადდნენ საბჭოთა დემოკრატიის, საჯაროობისა და გარდაქმნის მტრებად!

კატეგორიულად მოვითხოვთ, ცენტრალურმა ტელევიზიამ სასწრაფოდ აჩვენოს მოვლენების ნამდვილი არსი, ამხილოს ისინი, ვინც შეცდომაში შეიყვანა „ვრემიას“ რედაქცია და რომელთა წყალობითაც აღმაშფოთებელი შეურაცხყოფა მიაყენა უზღვურებაში ჩავარდნილ მთელ ქართველ ერს საბჭოთა და მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში. ამასთანავე, მოვითხოვთ, საკავშირო პრესამ, ტელევიზიამ და რადიომ ფართოდ და სრული სიმართლით გააშუქოს მოვლენები, მთელს საბჭოთა კავშირს გააგებინოს იმ ადამიანთა გვარები, რა თანამდებობაც არ უნდა ეჭიროთ მათ, რომლებმაც აშკარად აიგდეს და ფეხქვეშ გათელეს არა მარტო ადამიანთა ღირსება, არამედ საბჭოთა კავშირში მიმდინარე რევოლუციური პროცესები.

აუცილებლად სათანადო შეფასება და განზოგადება უნდა მიეცეს თბილისის სისხლიან აქციას და ითქვას პირდაპირ, რამდენად შეეფერება იგი ჩვენს დემოკრატიას, გარდაქმნას და საჯაროობას.

ამ მიმართვას ხელს აწერენ:

---

ეს მიმართვა დაწერილი იყო, როცა საზოგადოებამ შეიტყო 9 აპრილის ტრაგედიის კიდევ ორი ადამიანის მსხვერპლის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუხრან მაჭავარიანი, გრიგოლ აბაშიძე. მარი აბრამიშვილი, თემურ აბულაშვილი, თეიმურაზ აბულაძე, ავთანდილ ადეიშვილი, ლერი ალიმონაკი, გივი ალხაზიშვილი, ბაბუა ამირეჯიბი, ბალათერ არაბული, კოტა არაბული, რევაზ ართილაუვა, ჯაბა ახათიანი, ირაკლი ბაზაძე, ზურაბ ბათიაშვილი, მარიკა ბარათაშვილი, გიორგი ბაქანიძე, ნინო ბეზარაშვილი, როსტომ ბეჟანიშვილი, ხუტა ბერულავა, თედო ბექიშვილი, თამაზ ბიბილური, ზაურ ბოლქვაძე, ლუიზა ბოჩკოვა, აკაკი ბრეგაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, ლალი ბრეგვაძე, თენგიზ ბუაჩიძე, ამირან გაბესკირია, გიორგი გაჩეჩილაძე, ზურაბ გეგეშიძე, გივი გეგეჭკორი, აკაკი გეწაძე, ზურაბ გვერდწითელი, ვახტანგ გორგანელი, დურმიშხან გრიგოლაშვილი, ნოდარ გურეშიძე, ჯემალ დავლიანიძე, ბათუ დანელია, კლავდია დევდარიანი, სოლომონ დემურხანაშვილი, თეიმურაზ დოიაშვილი, თინა დონჟაშვილი, ალექსანდრე ებანოიძე, მერაბ ელიოზიშვილი, თამარ ერისთავი, დოდო ვადაჭკორია, რევაზ თვარაძე, ჯუმბერ თითმერია, ნინო თოფჩიშვილი. კობა იმედაშვილი, ქიშვარდ ისაკაძე, ალექსანდრე კალანდაძე, ზაურ კალანდია, ამირან კალაძე, ნანა კაჭდელაკი, დავით კახაბერი, მედეა კახიძე, ემზარ კვიტაიშვილი, ნაზი კილასონია, კარლო კობერიძე, მურმან ლებანიძე, გია ლომაძე, ლევან მალაზონია, თეიმურაზ მაღლაფერიძე, ელგუჯა მაღრაძე, ლეილა მესხი, რევაზ მიშველაძე, ზაურ მოლაშხია, ლადო მრელაშვილი, სილოვან ნარიმანიძე, გიორგი ნატროშვილი, ნაილი ნეპერიშვილი, ემზარ ნიჟარაძე, გიორგი ნიშნიანიძე, ნათელა ონაშვილი, იზა ორჯონიკიძე, სოსო პაიჭაძე, გიორგი პაპუაშვილი, აპოლონ ჟორდანია, უშანგი რიჟინაშვილი, ილია რურუა, ლაშა სამსონაძე, ლევან სანიკიძე, ბეჟან სივსივაძე, ლადო სულაბერიძე, შოთა სულაბერიძე, არჩილ სულაკაური, ლარისა ტიტვინიძე, ედუარდ ფალიანი, ზურაბ ფანჯიკიძე, შალვა ფორჩხიძე, ჯარჯი ფხოველი, ჯემალ ქარჩხაძე, სულხან ქეთელაური, იორამ ქემერტელიძე, ჯემალ ქირია, ნინო ქუთათელაძე, იუზა ყაჭეიშვილი, ოთარ შალამბერიძე, ბელა შალვაშვილი, შადიმან შამანაძე, ნუგზარ შატაიძე, გივი შაჰნაზარი, იორამ ჩადუნელი, თენგიზ ჩალაური, ჯანსუღ ჩარკვიანი, როდამ ჩაჩანიძე, მიხეილ ჩაჩუა, ჯემალ ჩახავა, ციალა ჩხეიძე, მზია ჩხეტიანი, ვანო ჩხიკვაძე, სარგის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, მამუკა წიკლაური, ნოდარ წულეისკირი, ტარიელ ჭანტურია, გოდერძი ჭეიშვილი, რეზო ჭეიშვილი, ოთარ ჭელიძე, ქეთევან ჭილაშვილი, ზაზა ჭილაძე, თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, გივი ჭიჭინაძე, ბადრი ჭოხონელიძე, დოდო ჭუმბურიძე, ზურაბ ჭუმბურიძე, ლევან ხაინდრავა, ფრიდონ ხალვაში, ვახტანგ ხარჩილავა, მირონ ხერგიანი, ნუნუ ხომერიკი, გიორგი ხორგუაშვილი, ვაჟა ხორნაული, ვახტანგ ჯავახაძე, ელიზბარ ჯაველიძე, ნოდარ ჯალაღონია, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, ლალი ჯაფარაშვილი, რევაზ ჯაფარიძე, ბორენა ჯაჭვლიანი, მურმან ჯგუბურია, აკაკი ჯორჯაძე, გივი ჯოხაძე, მაკა ჯოხაძე, გრიგოლ ჯულუხიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„Le Populaire de Paris"
27 Mai 1959

# 26 MAI

# Fête nationale géorgienne

Il y a quarante et un ans, la Géorgie restaura son indépendance et se reconstitua en état souverain sous forme d'une république démocratique. Cet acte a été confirmé par l'Assemblée constituante, élue au suffrage universel le 12 mars 1919. La Géorgie a été reconnue « de facto » comme indépendante, le 10 janvier 1920, par les cinq grandes puissances alliées, et « de jure », le 7 mai 1920, par la Russie soviétique, puis le 27 janvier 1921, par les cinq mêmes puissances : France, Angleterre, Belgique, Italie, Japon. Entre-temps, elle a été reconnue telle par d'autres puissances du globe : Allemagne, Turquie, Argentine, Pologne, Finlande, Roumanie, etc. Le 11 février, au mépris des traités conclus et dûment signés, en tant que deux États souverains, en égalité de droits et malgré la reconnaissance de ce fait juridique et politique par toutes les puissances du monde, trois armées russes attaquaient et envahissaient la Géorgie.

Après de durs combats et malgré la résistance courageuse de la jeune armée géorgienne et l'opposition énergique du peuple géorgien, le pays entier fut occupé militairement et policièrement le 18 mars 1921. La lutte acharnée de la Géorgie pour la défense de ses droits à exister, comme une nation libre et indépendante de Moscou, lui a valu la grande sympathie du monde entier à l'époque...

L'opinion publique et la presse française élevèrent de vigoureuses protestations contre cette violence flagrante du droit des gens, des traités, et aussi contre les abominations de la répression « soviétique » russe.

L'Internationale ouvrière, les assemblées de la Société des Nations, les congrès universels de la paix, les conseils municipaux de diverses villes à plusieurs reprises ont manifesté leur sympathie à la Géorgie et l'indignation envers les agresseurs.

Commémorer le 26 mai, c'est demander la réparation de l'injustice commise envers la Géorgie, c'est rappeler au monde libre que le peuple géorgien n'est pas libre, que dépouillé de ses richesses, spolié de son indépendance, il continue à souffrir sous l'occupation étrangère.

Nous adressons notre salut fraternel à toutes les nations se trouvant dans le même cas que la nôtre et leur exprimons notre solidarité.

Nous en appelons au monde libre et lui demandons de nous soutenir dans notre lutte de libération nationale contre le colonialisme et l'impérialisme soviétiques...

Dr TSINTSADZE,
président de l'Association géorgienne en France.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



"Journal de Genève"
- 18 - 2 - 1962 -

Gloire à notre chère Patrie,

Gloire à ce vrai Paradis,

La belle Ivérie.

Gloire à l'Union Fraternelle

Gloire à l'Indépendance

Gloire éternelle aussi

A la brave Géorgie......

**Déclaration du Comité international pour la Géorgie**

**On nous communique :**

La Géorgie, pays caucasien de culture antique, était déjà converti au christianisme au IIIe siècle de notre ère. Sa population, de pure race aryenne, forma un Etat indépendant qui, pendant des siècles, entretint d'étroites relations avec l'Occident, alors que la Russie était encore un Etat sous-développé.

L'empire des tsars, devenu puissant, annexa la Géorgie, qui dut attendre la Révolution pour recouvrer la liberté.

Lénine, appliquant le principe du droit des peuples à disposer de leur sort, lui rendit son indépendance mais, quelques mois plus tard, la force armée des Soviets réduisit de nouveau la Géorgie à l'esclavage politique. Le peuple géorgien, conscient de ses droits à disposer de son sort, se souleva en 1924, mais sa révolte fut étouffée dans le sang.

Le Comité international pour la Géorgie lutta par la plume et par la parole pour le rétablissement de sa souveraineté.

Trente-huit années se sont écoulées et la Géorgie attend toujours son heure. Cette heure viendra, mais aujourd'hui, au moment où l'Orient et l'Occident vont confronter leurs aspirations, il est indispensable de rappeler que seule une représentation librement élue par le peuple géorgien tout entier est en droit de parler au nom de la Géorgie, dont à la face du monde le Comité international pour la Géorgie proclame une fois de plus les droits imprescriptibles à la souveraineté internationale.

Au nom du Comité international pour la Géorgie:

Jean Martin.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Le 7 Mai 1920, le Gouvernement soviétique signa, avec la Géorgie, un traité par lequel il reconnaissait, d'une façon catégorique et sans aucune réserve, l'indépendance et la souveraineté de cette dernière.

Voici dans quels termes était conçu le premier paragraphe de ce traité : "Se basant sur le droit de tous les peuples, proclamé par la République Socialiste Fédérative Soviétique Russe, de disposer d'eux-mêmes, jusque et y compris la séparation totale de l'Etat dont ils font partie, la Russie reconnait sans réserve l'indépendance et la souveraineté de l'Etat géorgien et renonce de plein gré à tous les droits souverains qui appartenaient à la Russie, à l'égard du peuple et du territoire géorgiens".

Plus tard, le 14 Novembre 1920, le même Gouvernement soviétique signa avec la Géorgie un accord de transit et de commerce qui garantissait les intérêts économiques des deux pays.

Ce qui arriva trois mois après la signature de cet accord est connu de tout le monde. Le 11 Février 1921, les armées rouges, sans déclaration de guerre, envahissaient la Géorgie du côté de l'Arménie et de l'Azerbaidjan soviétisés par la force, ainsi que du côté de la mer Noire, et, après cinq semaines d'une résistance acharnée de la part de la Géorgie, elles réussissaientà occuper son territoire.

Cette violation flagrante des obligations internationales fut un véritable défi jeté à la face du monde civilisé.

En effet, deux semaines avant cette invasion inouie, le 27 Janvier 1921, le Conseil Suprême des Alliés (France, Angleterre, Italie, Japon, Belgique), siègeant à Paris, reconnaissait de jure l'indépendance de la Géorgie et, faisant connaître au Gouvernement géorgien cette reconnaissance. Le Président de ce Conseil, Aristide Briand, écrivait entre autres : "Les Puissances alliées sont heureuses de pouvoir témoigner ainsi à nouveau de la sympathie avec laquelle elles ont suivi les efforts du peuple géorgien vers l'indépendance et de l'admiration que leur inspire l'oeuvre qu'il a déjà accomplie".

La Géorgie était reconnue également par la plupart des autres puissances et elle se trouvait avec elles en relations diplomatiques normales. Sa légation à Paris, ouverte dès le début de 1921, fonctionna jusqu'en 1933 inclus.

Il n'est donc pas étonnant que la violation de la Géorgie, entrée dans la famille des peuples libres, par la puissance qui avait été l'une des premières à la reconnaître, ait soulevé dans le monde une indignation générale. Parmi les protestations sans nombre émanant des différents pays, la plus sévère fut celle du Conseil Municipal de Paris, le 23 Février 1921, qui se terminait par ces mots : Le Conseil Municipal de Paris "voue au mépris des hommes le Gouvernement bolcheviste, qui, sans déclaration de guerre, porte le meurtre dans la République de Géorgie".

ეროვნული ბიბლიოთეკა

On n'a pas oublié les manifestations de sympathie à la Chambre des Députés chaque fois que la Géorgie martyre était évoquée. Il suffit de mentionner ici un cas. Le 2 Avril 1922, M. Edouard Herriot, s'adressant au Président du Conseil, disait : "La souveraineté de la Géorgie a été formellement reconnue par les Puissances alliées. Elle a été reconnue, d'autre part, par le Gouvernement russe lui-même en vertu d'un traité fort précis.Je demande à M. le Président du Conseil de bien vouloir déclarer que son Gouvernement demeure attaché à la cause de cette indépendance. Le disant au nom de la France, qui a déjà agi pour l'indépendance de la Pologne et des Tchèques, qu'il nous permette de faire parvenir un espoir à un malheureux peuple opprimé." Raymond Poincaré, Président du Conseil, lui répondit : "L'honorable M. Herriot n'a fait qu'exprimer la pensée du Gouvernement lui-même, telle qu'elle a été exprimée plusieurs fois déjà à l'Etat de Géorgie. Ce Gouvernement possède d'ailleurs à Paris un représentant et ce représentant a accès au Ministère des Affaires Etrangères."

Le Gouvernement français défendit hors de la France, avec la même énergie, les droits de la Géorgie. Il insista et obtint que la délégation soviétique ne soit pas admise à représenter la Géorgie aux Conférences internationales de Gênes et de Lausanne.

Voici les instructions données à la délégation française à Gênes par Raymond Poincaré, Président du Conseil, et lues par lui à la Chambre des Députés, le 2 Juin 1922 : "Le Gouvernement français qui, avec les autres Gouvernements alliés, a reconnu l'ancien Gouvernement géorgien comme Gouvernement de jure ne saurait d'ailleurs admettre de traiter aujourd'hui une question de cette nature avec les représentants du pouvoir de fait qui a chassé de Géorgie le Gouvernement régulier".

Pendant l'insurrection du peuple géorgien contre le pouvoir d'occupation, en Août et Septembre 1924, sur l'initiative des délégations française et belge, l'Assemblée de la S.D.N. chargea son Conseil "de saisir les occasions qui pourraient se présenter d'aider, par des moyens pacifiques et conformes aux règles du droit international", au rétablissement de l'indépendance de la Géorgie. M. Mac Donald, délégué du Canada, rapporteur de la Sixième Commission, qualifia ainsi l'envahissement de la Géorgie : "Un fait presque sans précédent dans l'histoire du monde. La Russie, bien qu'elle eut reconnu la Géorgie, l'attaqua, au mépris de ses engagements. Depuis cette date, la situation de ce pays a suscité la sympathie de toutes les nations du monde."

ეროვნული ბიბლიოთეკა

Il est vrai que, par la suite, la France a reconnu le Gouvernement de l'U.R.S.S., mais cette reconnaissance n'a pas empêché le Gouvernement de la République de maintenir à Paris la Légation de Géorgie pendant neuf années encore. Du reste, dans le télégramme de reconnaissance, envoyé le 28 Octobre 1924 par le Président du Conseil, M. Edouard Herriot, en dehors de la réserve générale : reconnaissance de jure "comme Gouvernement des territoires de l'ancien Empire russe où son autorité est acceptée par les habitants", il a été fait une réserve spéciale pour la Géorgie et la Bessarabie, stipulant que cette reconnaissance "ne saurait porter atteinte à aucun des engagements pris".

Le peuple géorgien n'a pas accepté et n'acceptera jamais l'autorité du Gouvernement soviétique qui occupe son territoire, en violation perfide du traité signé par lui et consacré par le monde entier.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# გილოცავთ 105 წელს

ქალბატონი სოფიო კედიასა, დიადი 26 მაისის აღსანიშნავად პარიზის "ეტუალის" მოედანზე , უცნობი ჯარისკაცის საფლავზე.

---..---

ამა წლის 14 აპრილს, დიდ ქალბატონ სოფიო კედიასას დაბადებიდან 105 წელიწადი შეუსრულდა. ქალბატონ სოფიოს მეუღლე ბრძანდებოდა, აწ განსვენებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი საქართველოში ცნობილი საზოგადო, და პოლიტიკური მოღვაწე, ნაციონალ დემოკრატიულ პარტიის ლიდერი სპირიდონ კედია, რომელსაც არ ეღირსა განსახვენებლათაც კი მისი ნეშტი მშობლიურ მიწას მიბარებოდა, და უცხოეთშიც აღმოხდა ტანჯული სული.

ქალბატონი სოფიო ჭიჭავაძის ასული საქართველოში ცნობილი იყო, როგორც უაღრესად განათლებული, და საზოგადო მოღვაწე მანდილოსანი, დიდებული პედაგოგი, წამყვანი ხელმძღვანელი,და დირექტრისა თბილისის წმინდა ნინოს სახელობის განთქმულ ქალთა გიმნაზიისა.

"ჩვენი დროშა"-ს რედაქცია აღტაცებით ულოცავს დიდ ქალბატონ სოფიო კედიასას დაბადების დღეს, და შესთხოვს უზენაეს , რათა ჩვენ საამაყო მანდილოსანს უბოძოს ჯანმრთელობა, და ხანგრძლივი სიცოცხლე, რომ ერთხელ კიდევ ქალბატონმა იხილოს მისი მშობლიური ღვთიური სამშობლო საქართველო თავისუფალი, მთლიანი და ბედნიერი, მოხწრებოდეს საქართველოს მოჭირნახულე დიდ ქალბატონს მისდა და ქართველთა სასიხარულოდ კიდევ შეედგას ფეხი მის საყვარელ ამდენი ხნის უნახავ ქალთა გიმნაზიაში, რომელსაც ქალბატონი სოფიო წლების განმავლობაში საუცხოოდ, წარმტაცი მომხიბლოებით და საქმის მცოდნეობით წინ უძღოდა და ემსახურებოდა.

"ჩვენი დროშა"-ს რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პატივცემულ მკითხველთა საყურადღებოთ!

"ჩვენი დროშის" 1988წლის აგვისტოს 114 ნომერში მოთავსებულია ფრანგულ ენაზე ხელმოუწერელი წერილი შემდეგი სათაურით : "ო სუყე დ'ან ტრეტე". მრავალმა მკითხველმა გვთხოვა თუ ვინაა ამ უაღრესათ; ყურა-დსაღები წერილის ავტორი ?.

ავტორის თანხმობით ეხლა გვაქვს პატივი გაცნობოთ,რომ წერილის ავტორია ემიგრაციაში კარგათ ცნობილი ჩვენი სახელოვანი პოეტი ბატონი გიორგი ტოგონიძე.

ჩვენი ჟურნალის თანამშრომელი პატივცემული ბატონი გიორგი ხანდასმულობის გამო ხშირად ავადმყოფოფობს, და ამიტომ ჩვენდა სამწუხაროდ ველარ გვაწვდის მის ფრიად ღრმა შინაარსიან განმანათლებელ წერილებს. ვუსურვებთ ბატონ გიორგის მალე გამოჯანმრთელობას, და კვლავ კალმის აღებას, ქართულ კულტურა- ხელოვნე-ბის შესწავლა, გასაცნობათ ფრანგულ ენაზედ , როგორც ჩვენი ახალგაზრდობისათვის, რომლებიც ქართულ ენას არ ფლობენ , და აგრეთვე უცხოელებისათვის, რომლებიც მეტად სუსტათ იცნობენ ჩვენს ქვეყანას,და მის კულტურას.

"ჩვენი დროშის" რედაქცია.

--..--

"ჩვენი დროშის" რედაქცია უცხადებს დიდ მადლობას ბატონ სანდრო ფანჩულიძეს,რომელიც კეთილგანწყობილე-ბით გვაწვდის ჟურნალ "ლიტერატურულ საქართველოს"ყვე-ლა ნომრებს.

--..--

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ჩვენი დროშის" რედაქცია უღრმეს მადლობას უცხადებს, ყველას ვისი კეთილშობილობით, და მეოხებით ჟურნალი განაგრძობს არსებობას.
მასალები და ფულადი დახმარებაუნდა გამოიგზავნოს შემდეგ მისამართზე:

**PAGAVA LEVAN**
**3 RUE ADOLPHE CHERIOOUX**
**92 - 130 ISSY LES MOULINEAUX**

Tél.: 46-42-48-23.

---...---

შემომწირველთა სიის გაგრძელება.

1. პიროვნებათა უფლების დამცველ სექციიდან-- 2000 ფ.
2. ქეთევან ბარნოვი------------------------ 300 -
3. თათარხან ანთაძე------------------------ 200 -
4. მკითხველი------------------------------ 160 -
5. მართა გეგეჭკორი სტურუასა-------------- 150 -
6. რუბენ გვეტაძე------------------------- 150 -

2.960 ფ.

ნაშთი---------- + 5.991 -

8.951 ფ.

გასავალი.

1. თებერვლის ნომერი------ 3.820 ფრ.
2. მაისის "---" ----- 4.010 --

7.830 ფრ.

3. 8.951 - 7830 = 1.121 ფრ.

სალაროში 1.121ფრ.+ 180 დოლარი.

# სარჩევი.

--..--

გვერდი :


1. სააღდგომო მილოცვა
2. უკვდავება.
3. პრნზიდენტის სურათი.
4. -"""""""""- სურათის გადაღების დათარიღება.
5. ერის დღესასწაული ------------------ნოე ჟორდანია.
9. ნ. ჟ-ას ზოგიერთი მოსაზრებები ბ-ბზე მეგობარი.
   დანართი--------------------------------ლ.ფ.
14. 26 მაისი ----------------------------ლ.ფაღავა.
16. 9 აპრილი გლოვის დღეა, წერილები და ქრონიკა.
34. ქართველ მწერლების მიმართვა გორბაჩევისადმი.
38. ფრანგულად 26 მაისზე და საქართველოს დაპყრობაზე
43. მილოცვა ქ-ონ ს. კედიასას დაბადებიდან 105წლის შესრულების გამო.
45. მკითხველთა საყურადღებოთ.
46. "ჩ.დ-ის" ანგარიშები.


---..---

n11 2/1

ეროვნული ბიბლიოთეკა



რედაქტორი-- ლევან ფაღავა.

გერანი-- პროკოფ ინწკირველი.

Hors commerce

№ 116.

Redacteur: Levan PAGAVA
3 rue Adolphe Cherioux
92130 Issy les Moulineaux

Gérant: Pr. Intskirveli